



**საქართველო**  
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის**  
**საკრებულო**



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 12  
03/02/2016

12-06-4-201602032309



**განკარგულება N12**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული  
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის ანგარიში 2015 წელში გაწეული  
მუშაობის შესახებ**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, რომელმაც მოისმინა ამავე საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის ანგარიში 2015 წელში გაწეული მუშაობის თაობაზე აღნიშნავს, რომ კომისიას საანგარიშო პერიოდში გაწეული აქვს მნიშვნელოვანი მუშაობა არსებული კანონმდებლობითა და დებულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით, კომისია რეგულარულად იხილავდა და ამზადებდა დასკვნებს საკრებულოს სხდომაზე განსახილველი ნორმატიული სამართლებრივი აქტების პროექტებზე და აქტიურად მონაწილეობდა ამ პროექტების შემუშავებაში, ამასთან საკრებულოს მიაჩნია, რომ კომისიამ გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს აღმასრულებელ ორგანოს შესაბამისი სამსახურის მიერ კანონით გათვალისწინებული ანგარიშების მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის რეგულარულად წარმოდგენას, გამომდინარე აქედან საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**


**მუხლი1.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის ანგარიში 2015 წელში გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

**მუხლი2.** კომისიამ გამგეობის შესაბამის სამსახურთან ერთად მეტი ყურადღება დაუთმოს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულების კონტროლს, ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისას მაქსიმალურად გაითვალისწინონ მოსახლეობის ინტერესი. კომისიის სხდომაზე რეგულარულად მოისმინოს გამგეობის შესაბამისი სამსახურის ანგარიშები.

**მუხლი3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

**მუხლი4.** ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დimitრი კვერდელიძე



თავმჯდომარის მოადგილე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო